

# საქართველო

საპარტვილო სახალხო ფრონტი

№ 23 (79)

12-18 ივნისი, 1992 წ.

კომპლექსური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

## სახელმწიფო საბჭოს სამი სხდომა

### თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი კიროვას არ არღვევენ

ბუშინი, 11 ივნისს გამართა სახელმწიფო საბჭოს სხდომა. სხდომის დაწყებისთანავე თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი მოსაწყენმა ორატორმა სახელმწიფო საბჭოს წინაშე განცხადება სხდომის დაწყებისთანავე გააკეთეს. მათ განაცხადეს, რომ მათი მიზანმიმართული მოქმედება არაა დასრულებული და მათი მიზანმიმართული მოქმედება არაა დასრულებული და მათი მიზანმიმართული მოქმედება არაა დასრულებული...

სხდომა დაიწყო 11 ივნისს, 11 ივნისს გამართა სახელმწიფო საბჭოს სხდომა. სხდომის დაწყებისთანავე თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი მოსაწყენმა ორატორმა სახელმწიფო საბჭოს წინაშე განცხადება სხდომის დაწყებისთანავე გააკეთეს. მათ განაცხადეს, რომ მათი მიზანმიმართული მოქმედება არაა დასრულებული და მათი მიზანმიმართული მოქმედება არაა დასრულებული...

სხდომა დაიწყო 11 ივნისს, 11 ივნისს გამართა სახელმწიფო საბჭოს სხდომა. სხდომის დაწყებისთანავე თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი მოსაწყენმა ორატორმა სახელმწიფო საბჭოს წინაშე განცხადება სხდომის დაწყებისთანავე გააკეთეს. მათ განაცხადეს, რომ მათი მიზანმიმართული მოქმედება არაა დასრულებული და მათი მიზანმიმართული მოქმედება არაა დასრულებული...

ეს ინფორმაციები საბჭოს დიდის კმაყოფილებით აღიქვა. ბატონებმა თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი დასძინეს, რომ 15 ივნისს შემდეგ ყველა, ვისაც ქუჩაში აღმოაჩნდება იარაღი მილიციისა და შინაგანი ჯარის წარმომადგენლების გარდა, იქნებიან დაპატიმრებულნი.

წინა ხელისუფლების მიერ მხოლოდ თანამდებობის პირებზე გაცემულ იყო 1200 ერთეული ავტომატური და ნაგანის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, აქედან დღემდე ამოღებულია მხოლოდ 200 ცალი. უამრავი იარაღი გაცემული ახალი ხელისუფლების მიერაც. ითქვა, რომ იწარმოებს ამ იარაღის ინტენსიურად მოძიება...

გენერალურმა პროკურორმა ბატონმა ვახტანგ რაზმაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დეტალები ფორმა „კონსტანტინე“ მანქანის დაკავებასთან დაკავშირებით. ბატონ ბესიკ ქუთათელაძეს, რომლის მითითებითაც საექვოდ მიჩნეული სამხედრო მანქანა იქნა დაკავებული, პროკურორისათვის უტყუარებია შემდეგი: მანქანის დაკავებისა და საჩხერეში წაყვანის შემდეგ მასთან მისულან პირები, რომელთაც აღუთქვამთ პატივისცემა იმ შემთხვევაში თუ მანქანას გაათავისუფლებდნენ.

რომ ბ.ქუთათელაძეს მათთვის უთხოვია, თუ პატივისცემა გინდათ იარაღით დაგვეხმარეთო...

მანქანა თბილისშია ჩამოყვანილი, მასში კონტრაბანდა არ აღმოჩნდა, ამასთან 2-დან ერთი ლუქი დაზიანებულია. ასეთი იყო ინფორმაცია ამ გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით.

სხდომაზე იყო მსჯელობა სხვადასხვა პარტიების შტაბ-ბინებთან და სახსრებით უზრუნველყოფის პრობლემებთან დაკავშირებით, რაზედაც ჯ.იოსელიანმა ნახევარსაუბრობით იკითხა — რა საჭიროა ამდენი პარტიაო? რაზეც ხუმრობაგაშვებით ჩვენც გვინდა დავეძინოთ — ყველა ხუთკაციანმა პარტიამ თუ ბინა მოითხოვა ეს ჩვენი დედაქალაქი პარტიული შტაბ-ბინების (ახლა საელჩოებიც გაითვალისწინეთ). ქალაქად იქცევა და უპარტიო ხალხს მალე აყრა მოუწევს.

ისე, კაცმა რომ თქვას, ახივ არის მათზე, თუ არ უნდათ ორადლიანი თოხი უბაყუნონ მიწას, შევიდნენ კომუნისტურ პარტიაში...

ახლა ხომ პარტიობანას დროა...

### გვარდია და მხედრობი 15 ივნისამდე ყაზარგუში შევლენ, ახასთან აპოსანა გვაკითხება...

ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გასულ შაბათს გამართულ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე.

მართალია, სახელმწიფო საბჭოს არც სხვა სხდომების მუშაობა ხასიათდება ინერტული განწყობითა და სიმშვიდით, მაგრამ გასულ შაბათს გამართული სხდომა გამორჩეული იყო ვნებათა ჭილითა და პოლემიკური პათოსით, რადგან საკითხი შეეხო კრიმინოგენური ვითარების განაღობვასა და ვითარების მოწესრიგების გზების ძიებას.

იმარჯვა საღმა აზრმა და ბოლოს და ბოლოს აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა. 15 ივნისის შემდეგ ავტომატიანი ბიჭები თბილისის ქუჩებში აღარ ივლიან...

აღნიშნულ სხდომაზე იყო შესაძლებლობა კიდევ ერთ სად

აზრს გაემარჯვა.

კერძოდ, საბჭოს წევრებმა მოითხოვეს — ბატონ ელუარდ შევარდნაძეს, როგორც სახელმწიფოს პირველ პირს, რაკი განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია ქვეყნის ბედ-იღბლის წარმართვაზე, მისცემოდა შესაბამისი უფლებებიც.

ამ აზრს არ დაეთანხმა ბატონი ჯაბა იოსელიანი. მისი ფიქრით, რეალურად არსებულ უმაღლესი ეშელონის პოლიტიკურ ძალებს შორის პროპორცია არ უნდა დაირღვეს. გარდა ამისა, არ უნდა შეიქმნას საფუძველი დიქტატორისათუ დიქტატორის ახალი ვარიანტისათვის.

მკითხველს შევასხენებთ, რომ არჩევნებამდე ოთხიოდე თვე დარჩა. როგორ უნდა მოახერხოს ბატონმა შევარდნაძემ 4 თვეში დიქტატორად გადაქცევა, მით უფრო, რომ მას არავითარი სურვილი ამისა არ გააჩნია, ეს სახელმწიფო საბჭოს წევრებისათვის გამოცანად დარჩა. საზოგადოდ, თეორიული თვალსაზრისით ჯიოსელიანის პოზიცია მართალი ჩანს, ერთ კაცს, თუნდა კ-

თილ მმართველს არ უნდა ჰქონდეს იმაზე მეტი უფლება, რაც მას ეკუთვნის და რამაც იგი შეიძლება უზურპატორად აქციოს, მაგრამ გაუგებარია პრაქტიკული თვალსაზრისით ერთი რამ —

პრეზიდენტის ოთხი წევრიდან სამი ადგილობრივი მასშტაბის პოლიტიკოსია... იმ სამშიც ორი უფრო მეტად პოლიტიკოსი და საერთოდ, პოლიტიკოსებად თავს თავად ისინი არ აღიარებენ. შევასხენებ მათ მათივე განცხადებებს...

პრეზიდენტის მეოთხე წევრი, ბატონი ელუარდ შევარდნაძე კი, როგორც პოლიტიკოსი „ცოტა“ უფრო მეტ მასშტაბებს სწვდება. და თუ ეს ასეა (არადა სწორედ ასე ვახსენებთ) გაუგებარი რჩება, რატომ არ უნდა ჰქონდეს შევარდნაძეს მათთან შედარებით ცოტა მეტი უფლებები სახელმწიფოს მართვა-განმგებლობის საქმეში?

ამოცანა გვეკითხება — რატომ შეიძლება იყოს კაცი წინააღმდეგი იმისა, რომ პური მეპურემ გამოაცხოს?

თუ აღნიშნული საკითხი ახლო მომავალში არ გადაწყდება, ამოცანის პასუხს ჩვენი გაზეთის მომავალ ნომრებში გამოგვეყვანებთ...

**დღეიდან გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია მისამართს იცვლის, მისამართულებას — არა! ჩვენი მისამართია: თავისუფლების მოედანი, ბუშკინის ქ. № 5/7, 11 საართული.**

### ეთიკის

### კომისიას სამეუვე მქნება

9 ივნისს შედგა სახელმწიფო საბჭოს სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა ჩვენი ერის ყოფა-ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

როგორც ყოველთვის ყურანლისთვის თვალისათვის საინტერესო იყო სხდომის ფინალური ნაწილი — ე.წ. სხვადასხვა.

ამ სხვადასხვაში საბჭოს წევრებს სხვადასხვაგვარად უმტყუნეს ნერვებმა.

მაგალითად, შიდა ქართლის პრობლემების საუბრის

დროს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონმა ჯაბა იოსელიანმა ბატონ ნოდარ ნათაძეს რატომღაც მიმართა უცნაური სინტაგმით — „ბატონო ფაშისტო...“

ნოდარ ნათაძემ დაუყოვნებლივ უპასუხა — „ფაშისტო შენ თვითონ ხარ და ვიცი ვინცა ხარ“.

საინტერესოა, რომ ამ „პარლამენტურ“ შელაპარაკებამდე სხდომაზე დაისვა ეთიკის კომისიის შექმნის საკითხი.

სამწუხაროდ, როგორც ჩანს

ამ კომისიას მომავალში სამეუბლომად გაუჩნდება...

თუ, რა თქმა უნდა, ყოფილი პარლამენტის ეთიკის კომისიის მსგავსად თანამდებობის პირების არაეთიკურ საქციელზე ფაშალს არ დახუჭავენ...

მე-8 გვერდზე კიდევ ერთხელ გთავაზობთ სსფ-ს დარბაზის პოზიციას შიდა ქართლის კონფლიქტთან დაკავშირებით. დაე, მკითხველმა განსაჯოს რამდენად ფაშისტურია სსფ-სა და მისი თავმჯდომარის პოზიცია.













